სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

ფაკულტეტი	იურიდიული
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამა	სამართალი

სასწავლო კომპონენტის სახელწოდება	იურიდიული კლინიკა (სპეციალური)
	Legal Clinic (Specific)

სასწავლო კურსის კოდი	

სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
სწავლების ენა	ქართული
დაშვების წინაპირობები	

სასწავლო კურსის განმახორციელებელი	სახელი, გვარი	
	სამეცნიერო ხარისხი	
	თანამდებობა	
	საკონტაქტო ტელ.	
	E-mail	
	კონსულტაციის დღე:	ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	**კრედიტები**	**9**
	საათების საერთო რაოდენობა	**-**
	საკონტაქტო საათები:	**-**
	პრაქტიკული მუშაობა	-
	დასკვნითი გამოცდა/პრაქტიკის ანგარიში	-
	დამოუკიდებელი მუშაობის საათები	**-**

სასწავლო კურსის მიზანი	იურიდიული კლინიკის **მიზანია სტუდენტს:** • მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლება და გაუღრმაოს თეორიული ცოდნა საჯარო, სისხლის ან კერძო სამართლის სფეროებში, უკეთ შეამეცნოს სამართლის ფუნდამენტური პრინციპები; • გამოუმუშავოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, განმარტების მეთოდების გამოყენებით სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასებისა და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი; • გამოუმუშავოს დროისა და შესაძლებლობების სწორად გამოყენებისა და მართვის, იურიდიულ საქმეთა წარმოებისა და საკითხის გადაწყვეტისას ალტერნატიული ხერხებისა და მეთოდების გამოყენების, სამართლებრივ საკითხებზე მოლაპარაკებების წარმართვის, შესრულებული სამუშაოს აღწერის, შედეგების განსაზღვრისა და ადეკვატური შეფასების უნარი; • გამოუმუშავოს საჯარო, სისხლის ან კერძო სამართლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ცვლილებების, ახლებური მეცნიერული მიდგომებისა და იურიდიული კლინიკის პრაქტიკის პირობებში ცვლილების კრიტიკული ანალიზისა და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; • გამოუმუშავოს გამართული კომუნიკაციის, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად სწორი და არგუმენტირებული სამართლებრივი დასკვნების გადაცემის უნარი; • გამოუმუშავოს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის დამოუკიდებლად განსაზღვრის, ასევე წარმატებული იურიდიული საქმიანობისთვის პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის უნარი; • გამოუმუშავოს იურიდიული პროფესიებისთვის დამახასიათებელი არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზისა და ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	სტუდენტი: (A) აღწერს იურიდიული კლინიკის საქმიანობაში არსებული კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზებს; (B) განსაზღვრავს იურიდიულ კლინიკაში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს.
უნარი	სტუდენტი: (C) ახდენს იურიდიული კლინიკის პრაქტიკაში არსებული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურ შეფასებას და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ორიგინალურ გზებს; (D) იყენებს და მართავს დროსა და შესაძლებლობებს ეფექტურად; (E) იყენებს ალტერნატიული ხერხებსა და მეთოდებს იურიდიულ კლინიკაში საქმეთა წარმოებისას და საკითხთა გადაწყვეტისას, წარმართავს მოლაპარაკებებს სამართლებრივ საკითხებზე; (F) აღწერს შესრულებულ სამუშაოს, განსაზღვრავს და აფასებს მათ შედეგებს; (G) აანალიზებს საჯარო, სისხლის ან კერძო სამართლის სფეროში არსებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, ახლებურ მეცნიერულ მიდგომებს, იურიდიული კლინიკის პრაქტიკას და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს; (H) მსჯელობს კლინიკური სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის შედეგების თაობაზე, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, წერილობითი და ზეპირი ფორმით. (I) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და იურიდიული კლინიკის პრაქტიკის სინთეზსა და ანალიზს.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სტუდენტი: (J) აანალიზებს იურიდიული პროფესიებისთვის დამახასიათებელ სამართლებრივ ღირებულებებს, იყენებს არსებულ პროფესიულ ღირებულებებს, ეთიკისა და მორალის ნორმებს იურიდიული კლინიკაში საქმიანობისას.
შენიშვნა:	აღნიშნული კომპეტენციების დაკონკრეტება ხდება პრაქტიკის გავლის ადგილისა და შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლება-სწავლის მეთოდები	☐ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☐ სემინარი ☒ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ ხელმძღვანელობით განხორციელებული სწავლება

იურიდიული კლინიკის ძირითადი მიმართულებები	კლინიკური სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკული მუშაობა, კლინიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის (დაკვნითი გამოცდისათვის კლინიკური სწავლების ანგარიშის მომზადება და სხვა) ფორმატით. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად სტუდენტის კლინიკური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, საკანონმდებლო ორგანოში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, ადვოკატთა ასოციაციაში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, კერძო სამართლის იურიდიული პირების იურიდიულ სამსახურებში, იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში, აგრეთვე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დახმარების კლინიკაში და მიზნად ისახავს სტუდენტისათვის საჯარო, სისხლის ან კერძო სამართლის სფეროებში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და იურისტის უნარების ჩამოყალიბებას. კლინიკური სწავლების საერთო კოორდინაციას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და კლინიკური სწავლების მიმართულების დირექტორი: • ეხმარება სტუდენტებს კლინიკური სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში; • ახორციელებს მონიტორინგს კლინიკური სწავლების მიმდინარეობის პროცესზე. კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით, კლინიკა გამოყოფს კლინიკის ხელმძღვანელს. კლინიკის ხელმძღვანელი ახორციელებს კლინიკაში სტუდენტთა საქმიანობის უშუალო ზედამხედველობას. კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტი ვალდებულია: • დაიცვას მიმღები დაწესებულების შიდაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები; • შეასრულოს კონკრეტული სამუშაო კლინიკის ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად; • აწარმოებს კლინიკური სწავლების დღიურს. სტუდენტი ყოველდღიურად აღწერს შესრულებულ სამუშაოს კლინიკის დღიურში და, კლინიკური სწავლების დასრულების შემდეგ, შეადგენს ანგარიშს, რომლის პრეზენტაციასაც მოახდენს საჯაროდ. კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტს შეუძლიათ ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდითა და კომპიუტერული ბაზით. კლინიკური სწავლების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება ასევე მიმღები დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კლინიკური სწავლების შესაბამისი მასალები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები).
შენიშვნა:	კლინიკური სწავლების გეგმას, კლინიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს კლინიკის ხელმძღვანელი, კლინიკური სწავლების მიმართულების დირექტორთან შეთანხმებით.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (მაქსიმუმ 70 ქულა) და დასკვნით შეფასებას (მაქსიმუმ 30 ქულა), რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტებია: კლინიკაში სტუდენტის აქტივობა, კლინიკის დღიურის წარმოება. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია თავისი წილი შუალედური შეფასების 70 ქულის ფარგლებში. სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 26 ქულას.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტია დასკვნითი ზეპირი გამოცდა. დასკვნითი ზეპირი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით ზეპირ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი ექნება შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის

ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 15 ქულას. დასკვნითი შეფასება ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით ზეპირ გამოცდაზე დააგროვებს მინიმუმ 15 ქულას.

სასწავლო კომპონენტი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (30 ქულა) გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

დადებითი შეფასება	
A - ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა
B - ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
C - კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
D - დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
E - საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა
უარყოფითი შეფასება	
FX - ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დასკვნით ზეპირ გამოცდაზე (კლინიკური სწავლების ანგარიშის საჯარო პრეზენტაციაზე) ერთხელ გასვლის უფლება. ამასთან, დასკვნითი ზეპირი გამოცდა (კლინიკური სწავლების ანგარიშის საჯარო პრეზენტაცია) შეიძლება დანიშნოს დასკვნითი ზეპირი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).
FX - ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას იურიდიული კლინიკა ახლიდან აქვს გასავლელი)

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება, მათ შორის:	**70 ქულა**
	40
	30
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
კლინიკური სწავლების ანგარიში და მისი საჯარო პრეზენტაცია	30
სულ	**100 ქულა**

შუალედური შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასებას ახორციელებს კლინიკის ხელმძღვანელი. სტუდენტის აქტივობა კლინიკაში ფასდება 40 ქულით, ხოლო კლინიკის დღიურის წარმოება - 30 ქულით.

0-40 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-5 ქულა	
0-30 ქულა	
21-30 ქულა	
11-20 ქულა	
1-10 ქულა	
0 ქულა	

დასკვნითი შეფასების კომპონენტები კრიტერიუმები

კლინიკური სწავლების დასრულების შემდეგ, სტუდენტი ადგენს კლინიკური სწავლების ანგარიშს. დასკვნითი შეფასების ფარგლებში სტუდენტი აბარებს დასკვნით ზეპირ გამოცდას (კლინიკური სწავლების ანგარიშის საჯარო პრეზენტაცია). დასკვნითი ზეპირი გამოცდა ტარდება მე-17-მე-19 სასწავლო კვირას. დასკვნით ზეპირ გამოცდაში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 30 ქულა, რაც საბოლოო შეფასების 30 პროცენტის ტოლია.

კლინიკური სწავლების ანგარიში უნდა მოიცავდეს კლინიკის აღწერას, კლინიკური სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერას/ანალიზს, კლინიკური სწავლების შედეგების შეჯამებას. კლინიკური სწავლების ანგარიში უნდა იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას კლინიკაზე და კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესზე. კლინიკური სწავლების ანგარიშს შეძლებისდაგვარად თან დაერთვის ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც ეხება სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აღწერს მათ შინაარს.

კლინიკური სწავლების ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 გვერდისა, ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. ტექ-სტისთვის ინტერვალი არის 1.5. მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე.

<u>შენიშვნა:</u> დასკვნით ზეპირ გამოცდას (კლინიკური სწავლების ანგარიშის საჯარო პრეზენტაციას) აფასებს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისია. საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

0-30 ქულა	კლინიკური სწავლების ანგარიშისა და მისი საჯარო პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები
0-5	კლინიკისა და კლინიკური სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა
0-5	კლინიკური სწავლების პროცესში გამოვლენილი სამართლებრივი პრობლემების შეფასება, პრობლემების გადაწყვეტის გზების აღწერა და განსაზღვრა
0-5	თეორიული კომპონენტებისა და კლინიკური სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის შედეგების ანალიზი, სინთეზი
0-5	კლინიკური სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება - შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება
0-5	საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გადმოცემა
0-5	საპრზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე

სილაბუსის ავტორი **ირაკლი ბურდული**